ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №191

ქ. თბილისი

18 აგვისტო 2015 წელი

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრის” შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

პროფესიული სწავლებისა და საქმიანობის დროს დიდია საწარმოო ტრამვების რისკი. იმისათვის რათა თავიდან ავიცილოთ სხეულის სხვადასხვა დაზიანებები, ტრამვები და უბედური შემთხვევები, საჭიროა საფრთხეების დადგენა და პრევენციული ზომების მიღება. შესაბამისად, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში “სპექტრი“ შემუშავდა სასწავლებელში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, “პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 20 ივნისის №75/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის” წესდების” მე-5 მუხლის „ა” და „ე” ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი” შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი შემდეგი სახით:

ა) პროფესიული სტუდენტებისათვის სავალდებულოა სწავლის დაწყებიდან 10 კალენდარული დღის მანძილზე კოლეჯის მოქმედი შინაგანაწესისა და შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და წესების გაცნობა;

ბ) სტუდენტების მიერ მოქმედი შინაგანაწესისა და შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და წესების გაცნობას, რომელის ფიქსირდება შესაბამისი სააღრიცხო ჟურნალის საშუალებით აწარმოებს კოლეჯის მედდა;

გ) პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ გაცნობია მოქმედ შინაგანაწესისა და შრომის უსაფრთხოების ნოემებისა და წესებს არ დაიშვება პრაქტიკულ მეცადინეობებზე;

გ) შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და წესების გაცნობის ფარგლებში სტუდენტს უნდა განემარტოს:

- უსაფრთხოების წესების დაცვა სამუშაო ადგილზე;
- სამუშაოს უსაფრთხოდ წარმოების მეთოდები;
- ჩარხდანადგარების, იარაღებისა და მოწყობილობების უსაფრთხო გამოყენება
- ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა;
- უსაფრთხოების ნორმები შეზღუდულ სივრცეში (ხარაჩო, კიბე, საკიდელი და ა.შ.) მუშაობისას;
- უსაფრთხოების ნორმები ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობისას;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები;
- ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვა;
- გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები.

2. ბრძანების დაინტერესებული პირისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს კოლეჯის საქმის მწარმოებელს ინა ქვრივიშვილს.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე - თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

დირექტორი

როინ (მათე) ტაკიძე